

დამტკიცებულია
ბრძანება #04 – 46
დანართი #1
ცვლილება: ბრძანება
#04-48 დანართი#1
,N04-33 დანართი 1

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მეფუტკრე

პროგრამის ხელმძღვანელი: ნუკრი მახარაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 593626127

მცხეთა

2016

- I. **სახელწოდება:** მეფუტკრე
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:**08101-3
- III. **პროფესიული კვალიფიკაციის დონე**ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:მესამე
- IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:**მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - მეფუტკრის პროფესიული სტანდარტი
- VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**საბაზო განათლება
- VII. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდესსაფუტკრე მეურნეობებში ან შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოში, ასევე შეუძლია საკუთარი ბიზნესის წამოწყება და თვითდასაქმება.
- VIII. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია უზრუნველყოს პროფესიონალ მეფუტკრეთა მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ დარგში მზარდ მოთხოვნებს. მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. ასევე არჩევითი მოდულების ბლოკი სტუდენტებს საშუალებას მისცემს ცოდნა გაიღმავონ პროფესიაში ან მომიჯნავე სფეროში, ან შეიძინონ დამატებითი ტრანსფერული უნარები. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიგნით სტუდენტთა მობილობას, ისე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.
- IX. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- საფუტკრე მეურნეობის მოწყობა
 - მეფუტკრეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა
 - ფუტკრის მოვლა-პატრონობა
 - მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება
 - ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა
 - საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური და პირადი პროფესიული განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- მოცულობა: 101 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 17 სასწავლო თვე (68 სასწავლო კვირა)

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	2	გაცნობითი პრაქტიკა-მეფუტკრე	2	სატელეფონო გაყიდვები	5
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-მეფუტკრე	8	პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის ნორმების დაცვა	2
საინფორმაციო ტექნოლოგიები	2	პრაქტიკული პროექტი-მეფუტკრე	5	რუსული	4
მეწარმეობა	4	საფუტკრე მეურნეობის ორგანიზება	7	სერვისის პლიუსი	2
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	ფუტკრის მოვლა-პატრონობა	9	კონფლიქტური სიტუაციების მართვა	3
უცხოური ენა	4	მეფუტკრეობის პროდუქტები, მათი მიღება, პირველადი დამუშავება და შენახვა	8		
სამოქალაქო განათლება	2	საფუტკრე მეურნეობაში ვეტ-სანიტარული და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა	7		
ქართული ენა A2	15	შრომისა და უსაფრთხოების დაცვა მეფუტკრის პროფესიასთან მიმართებაში	3		
		საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური განვითარება	3		
სულ:	32	სულ:	52	სულ:	16

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ისე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 16 კრედიტი.

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები პროგრამებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭება მოხდება ამავე პუნქტში მოცემული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

დანართი #1 - სასწავლო გეგმა

დანართი #2 - პროგრამის განმახორციელებლები

დანართი #3 -24 მოდულები